ცნობის ფურცელი

№ 2073 ორშაბათი, 19 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2073

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი იოსებ ილიასძე, სოფიო იოსების ასული ბერიძეები, ოლღა ილიას ასული, გიორგი ვახტანგის ძე თაყაძეები, მარიამ დიმიტრის ასული ბეჟანიშვილისა და ელიზბარ ნიკოლოზის ძე ედიშერაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი და მესამე—დედისას, მეორე—დედამთილისას, მეოთხე—სიდედრისას, მეხუთე—დისას და მეექვსე—მამიდასი

მარიამ ედიშერის ასულის ბერიძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე დილის 12 ს. და საღამოს 7 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ 19 თებერვალს, დილის 9 საათზე მღ. იოსებ ბერიძის სახლიდან (კუკიის სასაფლაოსთან), წირვა და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიის სასაფლაოზე. (2—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

გ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოთი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუხამელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების: ყოველდღით 10—12.

ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი: ოთხშაბათობით 12— საათამდე.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

პრ. მ. ხოხოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **გ. დ. ნასარიძე.**

მასაჟის და საექიმო გიმნასტიკა“: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

ხუთშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადგომში, სამხედრო საბჭოს დარბაზში, დანიშნულია

საზოგადო კრება

რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

განსახილველი საგნები:

1) გ. ა. სტუნინის მოხსენება გედის ხეობისა და მტკვარის სათავეს შესახებ.
2) ნამდვილ წევრთა არჩევა.

კრებაზე გარეშეთაც შეუძლიათ დასწრება. შესვლა უფასოა. (უ. 3—2)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

დიდებულ რეფორმის დღესასწაული

დღეს, 19 თებერვალს, მთელი რუსეთი დღესასწაულობს და იგონებს თავის ქვეყნის ისტორიის უდიდესს დღეს: ამ დღეს, 42 წლის წინად, გამოცხადებული იყო გლეხების განთავისუფლება ბატონ-ყმობის უღელიდან.

რაც უფრო მეტი დრო მიდის, იმდენად უფრო თვალსაჩინოდ ხდება ამ რეფორმის დიადი მნიშვნელობა. რუსეთი 1861 წლამდის და რუსეთი ამ წლის შემდეგ იმდენადვე განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამდენად კონტინენტალური ევროპა საფრანგეთის რევოლიუციამდე და შემდეგ. რუსეთშიაც დაემხო თავისებური „ანსიან რეჟიმ“-ი და დაიწყო ახალი ცხოვრება. ამ დიადის სოციალურის რეფორმით დაიწყო ახალი ცხოვრება—ევროპიულ-მოქალაქობრივი, რომელმაც ძირიანად შესცვალა კარჩაკეტილ აზიურ სახელმწიფოს ისტორიული მსვლელობა. თუ გაევროპიელების საქმე სრულ ად მაშინვე არ დამთავრდა, ახალ ცხოვრების ბორბალი დატრიალდა და მისი შეჩერება მაინც აღარ შეიძლება. ახლა მხოლოდ დროზეა დამოკიდებული ყველაფერი და, დღეს იქნება თუ ხვალ, დიადის რეფორმით დაწყებული საქმე უნდა დამთავრდეს, დაგვირგვინდეს.

რაც უნდა იყოს, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს დღევანდელ დღის სიავე, მაინც ყოველ დღეს წინ ვსდგამთ ნაბიჯს და ვიახლოვებთ ხსენებულ საქმის დაგვირგვინების დღეს. განთავისუფლებულის ხალხისა და მასთან მთელის ერის თვით-ცნობიერების განვითარება ყოველ დღე სწარმოებს და ყოველ დღე სრულს გამარჯვებისაკენ მიდის. უკანასკნელ წლებში მაინც მეტად ძლიერ დაიწყო ცემა ერის მაჯამ; ცხოვრება გაიზარდა და ძველს კალაპოტში არ ეტევა...

ამიტომაც, ორმოცდამესამე წლისთავი დიადის რეფორმისა განსაკუთრებულის სიმპტომებით უნდა აღვნიშნოთ. სწორედ ამ ჟამად ყველამ შეიგნო რეფორმების აუცილებელი საჭიროება და ეს ოფიციალურადაც იქმნა გამომჟღავნებული. ხალხის ცხოვრება ანორმალურ პირობებშიაო და უნდა გამოიძებნოს გაუმჯობესების საშუალებანიო, ემცნო შარშან რუსეთის საზოგადოებას და შექმნილ იქმნა განსაკუთრებული ორგანოებიც ამ საშუალებათა აღსანიშნავად. არ გასულა ნახევარი წელიწადიც და შინაგან პოლიტიკის მმართველმა გამოაცხადა—დადგა დრო, როდესაც საჭირო შეიქნა ერის საზოგადოებრივ ძალების მოქმედების გაძლიერება; დადგა დრო, როდესაც ცხად საჭიროებად გადაიქცა 1861 წლის რეფორმის გაგრძელებაო.

ჩვენ არ ვაზვიადებთ ამ ფაქტების მნიშვნელობას; კარგად გვესმის, რომ დიდი პრაქტიკული შედეგი მათ არ მოჰყვება; მაგრამ სიმპტომატიური მნიშვნელობა ამ განცხადებათა და გამჟღავნებათა მაინც დიდია: ცხადია, დღევანდელს პირობებში ცხოვრება აღარ შეიძლება; ხალხის მდგომარეობა,—იმ ხალხისა, რომლის მონობიდან განთავისუფლებას დღეს ვდღესასწაულობთ, აუტანელი შეიქნა და საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა ცხოვრების პირობათა ძირითადი რეფორმა. ხოლო რა-კი ეს საჭიროება ოფიციალურადაც გამომჟღავნებულია, მისი განხორციელებაც შორს არ ყოფილა და ამიტომ მთელი შეგნებული და განათლებული რუსეთი დღეს უფრო მეტის იმედით მიეგებება ღირს-შესანიშნავ რეფორმის მოგონების დღეს.

საზღვარ-გარეთ

ინგლისი. 6 თებერვალს მუშების დეპუტატმა კეირ-გარდიმ წინადადება შეიტანა პალატაში: სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესში

ფელეტონი

წერილი აფხაზეთიდან

აფხაზური სოფელი აძიბჟა.—გადასახლება.—მდინარის ოინები.—ზავოდი.—ქურდობა.—ხშირი სიკვდილი აფხაზთა.—მისი მიზეზები.—უექიმობა.—სალოცავები.—სკოლა.—წირვა-ლოცვა და ახირებული ამბავი.

აფხაზური სოფელი აძიბჟა (შუა წყალი, მეგ.) სძევს ქალაქ სოხუმიდან მეოცე ვერსზე მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე, ზღვის პირად. ეს სოფელი უკანასკნელ რუს-ოსმალოთა ომიანობის დროს ერთიანად აკლებულ იქმნა, როგორც მთელი აფხაზეთი, მცხოვრებნი—სამიოდე მოსახლის გარდა—გადასახლებულ იქმნენ ოსმალეთში, სადაც $^{3}/_{4}$ მათი გაწყდა ცალკე შიმშილისა და ცალკე სხვა-და-სხვა სახადების წყალობით. ვინც გადარჩა, უკან თავისს მშობელ სოფელში დაბრუნდა; აქ სახლ-კარი, მტერმოყვარე (რუს-თათართაგან) დანგრეული დახვდა. რადგანაც მდინარეთ კოდორსა და და აალს შუა მოხაჯირ აფხაზთ აღუკრძალეს დასახლება, ეს უკანასკნელნი დასავლეთ და აღმოსავლეთ აფხაზეთს მიაწყდნენ. აი, ამიტომ სოფელ აძიბჟაში დასახლდნენ ძველებური მკვიდრნი, აგრეთვე სხვა-და-სხვა სოფლებიდან 156 მოსახლე აფხაზი და ორი მეგრელიც; მათ არაფერი არ ებადათ: არც სახლი, არც კარი, არც რამე საქონელი. ბევრი ტანჯვა-ვაება გამოიარეს საწყლებმა ოსმალეთში ძალად მოგზაურობის დროს; მცხოვრებთა სამი მეოთხედი მაინც დასტოვეს იქ და დედიშობილა, შიმშილისა და ავადმყოფობით ღონე-მიხდილნი დაბრუნდნენ თავისს საყვარელ აფხაზეთში. აქ-კი მათი შემწე და მფარველი არავინ აღმოჩნდა, პირ-იქით, ყოველი გაიძვერა მოხელე წარამარა პირში ახლიდა: „მოღალატენო!“ თითქოს ჩვენი ნებით მიგვენებებინოს თავი საყვარელ ბალ-ბაღჩა-ვენახებისათვის... მაგრამ „У сильнаго всегда безсильный виноватъ“... ბევრი შრომა და ჯაფა დასჭირდა აძიბჟელს, სანამ ისევ ფეხზე წამოდგებოდა და შიმშილისაგან თავს მაინც უზრუნველსა ჰყოფდა: ეხლა მაინც მას მჰადი და ლობიო ბევრი ჰქონდა. ან მოსალოდნელი იყო, რომ მისს ცხოვრებას უკედ მოაწყობდა, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა. ცალკე ხალხის სიღარიბისა გამო და ცალკე ადმინისტრაციის სისუსტისა, თუ სრულიად უყურადღებობისა გამო აფხაზეთში გავრცელდა საშინელი ქურდობა, მეტადრე შინაური პირუტყვებისა. ყველაზე უფრო ამ სენის მწარე ნაყოფი აძიბჟელებმა იგემეს. საქმე იმაშია, რომ მთავრობამ კოლონისტთა ინტერესების დასაცველად შემოიღო ეგრედ-წოდებული „კვალის მიტანა“, ესე იგი კოლონისტის დანაკარგ საქონლის კვალს რომელ სოფელშიც მიიტანდნენ, ის სოფელი ვალდებული იყო პატრონისათვის ეზღო დანაკარგის ფასი. ეს „კანონი“ მარტო კოლონისტთა და სამღვდელოებისათვის იყო შემოღებული.

როგორც ზევითაც შევნიშნე, ჩვენი სოფელი სძევს მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე, მარჯვენა ნაპირზე-კი მეახალშენეთა ოთხი საზოგადოებაა. მასთან ერთად-ერთი გზა, რომელიც აერთებს აფხაზეთის ორივე ნაწილს—დასავლეთის (ბზიფინ) და აღმოსავლეთისა (აბჟუა), ამ სოფელში გაიარს. გაჩაღდა ქურდობა,—მეახალშენეთ თავისს დანაკარგის კვალი ჩვენს სოფელში შემოჰქონდა, მამასახლისისაგან ღებულობდნენ ამის კვიტანციას და არხეინად ბრუნდებოდნენ შინ, დარწმუნებული, რომ ადმინისტრაცია ფულს ჩააბარებდა. ამ „კანონით“ გალაღებულნი მეახალშენენი ცუდად ხმარობდნენ თავისს უფლებებს: ჯერ ერთი, ყურადღებას არ აქცევდნენ თავისს საქონელს, მეორეც, ნადირის შეჭმულის ფასსაც ახდევინებდნენ. ამისთანა საგმირო საქმე არა ერთი და ორი გამოუჩნდათ მათ, მაგრამ არავითარი ჩვენთვის სასურველი ნაყოფი მათ არ მოჰყვათ. ასე თუ ისე, ამ კანონის წყალობით აძიბჟის საზოგადოებამ ამ ოცის წლის განმავლობაში მეახალშენეთა სასარგებლოდ 17 ათასი მანეთი გადაიხადა. თვით აფხაზებს რაც ეკარგებოდათ, ანუ ეკარგებათ, ეს კიდევ სხვაა,—ამისთვის თავს ვინ შეიწუხებდა! მესამე გარემოება, რომელმაც უფრო დასცა ჩვენის სოფლის ეკონომიური კეთილ-დღეობა, ეს იყო მდინარე კოდორზე რკინის ხიდის გადება-გაკეთება. საქმე იმაშია, რომ მდინარე კოდორი ძალიან დაუნდობელი და გიჟმაჟია, მასთან რამდენიმე ტოტად გაყოფილი; მაზე ხიდის გასაკეთებლად საჭიროდ შეიქმნა ყველა ტოტების ერთ კალაპოტში მოქცევა. მუშაობის უფროსმა ინჟენერმა გ—ოვმა სოფლის მოსალოდნელი ზარალი მხედველობაში აღარ მიიღო და ისეთ ადგილას გააკეთა დამბები, რომ კოდორმა თავისი კალაპოტი იცვალა და ხუთ-ათას ქცევაზე მეტი მშვენიერი სახნავ-სათესი მიწა ერთიანად წალეკა და გაიოხრა. საზოგადოებას, მართალია, კიდევ ბევრი დარჩა მიწა, გარნა სიმინდის კულტურისათვის გამოუსადეგარია, ეწრებია. სამაგიეროდ მან და მისმა მოიჯარადრემ მშვენიერი სასახლეები აიშენეს სოხუმსა, თუ ბათუმში... აფხაზს საზოგადოდ სასამართლოებში თრევა და ჩივილი არ უყვარს, რომ უნდოდეს, მაინც ველარ მიაგნებს, თუ სად უნდა იჩივლოს. ჩემს შეკითხვაზე, რატომ არ იჩივლეთ-თქო, მიპასუხეს: მამული ხელმწიფისაა და ხიდიცაოვის რად უნდა ვუჩივლოთო. ამ რიგად მშვენიერი სახნავ-სათესი მიწები წყალმა წალეკა, საზოგადოებას მარტო ეწრები და დარჩა, რომელიც სიმინდის კულტურისათვის გამოუსადეგარია. მეოთხე გარემოება, რომელმაც ხელი შეუწყო ჩვენის სოფლის დაღარიბებას, ეს ბ. მაქსიმოვის ხე-ტყის სახერხავი ზავოდია. თავისთავად, რასაკვირველია, ზავოდს დიდი სარგებლობა მოაქვს, და არა ერთი და ორი ათასი კაცი (უმეტესად ქართველობა) მისი წყალობით ირჩენს თავს. მხოლოდ მუდმივ, მძიმე და სისტემატიურ მუშაობას უჩვეველი, ბუნებით ზარმაცი და მასთან მწყემსობაზე აღზრდილი—უკანასკნელ ომიანობამდის ჩვენის სოფლის უმთავრესს სახსარს ცხოვრებისას შეადგენდა შინაურ პირუტყვის მოვლა-მოშენება, რაიცა დღესაც დიდის სიამოვნებით იგონებს აფხაზი—აფხაზი ზავოდში მუშაობას ხელს ველარ ჰკიდებს და მისგან მოსალოდნელ სარგებლობას ველარ ღებულობს; სამაგიეროდ ზავოდის ადმინისტრაციის უგუნური განკარგულების წყალობით ჩვენმა სოფელმა დაჰკარგა მშვენიერი საბალახო ადგილები—ეგრედ წოდებული „აყვარები“ (რიყე-

ივერიელი

მთავრობა გვეკიცხოთ იმაზე, რომ აქამდე უსაქმო მუშების დახმარების თაობაზე არაფერი კანონ-პროექტი არ წარუდგინა პალატასაო. ისეთი კანონ-პროექტი უნდა შეედგინათ, რომ მთავრობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას პატარ-პატარა მიწის ნაჭრები შეეძინათ, ან სხვა რაიმე საქმე გაეჩინათ უსაქმო მუშებისათვისაო. კეირ-გარდის მუშების დეპუტატი ჯონ ბერნსიც მოემხრო. ბერნსმა გააცნო პალატას, ლონდონსა და სხვა პროვინციალურ ქალაქებში უსაქმო მუშები დიდ-გაჭირვებაში არიან ჩაცვივნული, ყველგან დიდ პროცესიებსა და კრებებს ახდენენ და შველას თხოულობენო. ორატორმა მოსთხოვა ადგილობრივ მმართველობის მინისტრს ლონგს განკარგულება მოახდინეთ, ადგილობრივმა მოხელეებმა საზოგადო საქმეები დაიწყონო. მთავრობის მხრივ მინისტრმა ლონგმა უპასუხათ: თუმცა, სამწუხაროდ, უსაქმო მუშების რიცხვს ამ უკანასკნელ თვეებში მოემატა, მაგრამ არც თუ იმდენი მოემატა, რომ მთავრობამ ის განსაკუთრებული ღონისძიებანი მიიღოს, რომელიც კეირ-გარდიმ გვირჩია. უსაქმო მუშების უმეტესობა ლონდონის დოკებში მუშაობდა; როცა ამ დოკებში მუშაობა შეამცირეს, ესენი ულუკმა-პუროდ დარჩნენ; ამიტომ მამულის ყიდვა ამათთვის, არა მგონია, სასარგებლო იყოს, რადგან ამ მუშებს მამულის მოვლა არ ეცოდინებათ. ადგილობრივ მოხელეებს მთავრობა მარტო დიდი გაჭირვების დროს მიჰმართავს ხოლმე ცირკულიარით, რადგან ამ მოხელეებმა თითონაც კარგად იციან მუშების გაჭირვება და ისიც კარგად იციან, თუ როგორ უშველონ საქმეს. ამის შემდეგ პალატამ 40 ხმის უმეტესობით (201 ხმით 161 წინააღმდეგ) უარ-ჰყო კეირ-გარდის წინადადება.

გაზეთები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ მთავრობა მცირე უმეტესობით იმარჯვებს. პალატამ ლიბერალ დეპუტატის ლამბერტის წინადადებაც ასეთისავე მცირე უმეტესობით უარ-ჰყო. ამას წინად ლონდონში ერთი დიდი საფინანსო კომპანია გაკოტრდა. ლამბერტიმ წინადადება შეიტანა: სინანული გამოვაცხადოთ იმაზე, რომ მთავრობამ სამართალში არ მისცა ამ კომპანიის დირექტორებიო. ლამბერტიმ სთქვა: ხალხში ხმა დადის, ამ საქმეში უმაღლესი პირები ერივნენ, მთავრობამაც ამიტომ ხმა არ გასცა კომპანიის დირექტორებსაო. მთავრობის მხრივ უმაღლესმა პროკურორმა უპასუხა ლამბერტის: ეგ ხმები უსაფუძვლოა; სასამართლოს მოხელეები იმიტომ არ გაერივნენ ამ საქმეში, რომ კანონი არ აძლევთ ამის ნებასაო. შემდეგ პირველმა მინისტრმა ბალფურმა გამოაცხადა, ეხლანდელ კანონების ძალით არ შეიძლებოდა გაკოტრებულ კომპანიის დირექტორების სამართალში მიცემა, თუმცა კი დირექტორები ნამდვილად ღირსნი იყვნენ ამისიო. ბალფურმა დასძინა: „მაშასადამე, კანონი ტყუის. უსათუოდ უნდა შეიცვალოს ეს კანონი. მთავრობაც ეცდება, რომ პალატას ეს კანონი შეაცვლევინოს“. ბოლოს პალატამ 51 ხმით (166 ხმით 115 წინააღმდეგ) უარ-ჰყო ლამბერტის წინადადება.

საფრანგეთი. როგორც ვიცით, ქ-ნი ემბერი კატოის საქმეში პროკურორის წინადადებით გაამართლა სასამართლომ. პროკურორ ლესკუვეს ემბერების წინააღმდეგ კი არა, კატოის წინააღმდეგ ელაპარაკა. ლესკუვეს ეთქვა: არ მესმის, ეგვიპტელმა ბანკირმა, ინგლისის მოქალაქემ კატოიმ რისთვის დაიწყო ეს საქმე და ქ-ნ ემბერს რისთვის დააბრალა ცილის-წამება. იქნება უნდოდა, რომ სასამართლოს იმისთვის პატიოსნების მოწმობა მიეცა და დაემტკიცებინა, რომ კატოი მევახშე არაა,—არ ვიცი სწორე გითხრათ. მაინცა და მაინც არაფერი იმედი არაა, რომ კატოის საჩივარი შეიწყნაროს სასამართლომ (საზოგადოება ჰღელავს). ამ საქმის დოკუმენტების შესწავლიდან დავრწმუნდი, რომ კატოის მეტად საეჭვო საფინანსო საქმეები ჰქონია... ტერეზა ემბერი, უეჭველია, მევახშეების ხელში ყოფილა ჩავარდნილი; მგონია, ეს მევახშეები რომ არა ყოფილიყვნენ, იქნება ემბერების საქმეც არ ყოფილიყო.

◆ პალატის კომისიამ ნაციონალისტ-დეპუტატ სივტონის არჩევის საქმე გამოიძია, მაგრამ მოხსენება ამ საქმეზე ჯერ არ გამოუცია. ეს მოხსენება დიდი ხანია მზადაა, მაგრამ ჟორესმა გამოაცხადა, დრეიფუსის საქმეზე ახალ საბუთებს გამოვააშკარავებ, როცა პალატაში სივტონის არჩევის თაობაზე კამათი გაიმართებაო; ამიტომ კომისიის უმეტესობამ—ეს კომისია მომეტებულ ნაწილად ნაციონალისტებისაგან შესდგება—დაავალა კომისიის მომხსენებელს ბორეგარს (ესეც ნაციონალისტია), მოხსენების დაბეჭდვის დროს ცოტა-ოდნად შესცვალეო: რაც-კი კომისიას „საფრანგეთის სამშობლოს ლიგის“ მეთაურებმა ლემეტრმა და ჟიუდემ დრეიფუსის საქმეზე უჩვენეს, მოხსენებაში ჩაუმატეთო. აი, სწორედ ამან დააგვიანა მოხსენების გამოცემა. ბორეგარი მაინც ირწმუნება, მოხსენება ამ კვირია დაურიგდება დეპუტატებსო და რამწამს ბიუჯეტზე კამათი გათავდება, პალატას შეუძლიან სივტონის არჩევის თაობაზეც დაიწყოს კამათიო. ჟორესმა გამოაცხადა, გათავდება თუ არა ბიუჯეტზე კამათი, მაშინვე სივტონის საქმის გარჩევას მოვითხოვო და დრეიფუსის საქმეზედაც მაშინ ჩამოვაგდებ ლაპარაკს და რაც ახალი რამ ვიცი, გამოვაცხადებო.

ავსტრო-ჰუნგრეთი. გერმანული გაზეთებიც ჰმოწმობენ, ავსტრო-ჰუნგრეთის ყველა ოფიცრებს ბძანება მიუვიდათ: მზად იყავით, პირველ დაბარების უმალვე ხელად გამოცხადდეთო.

◆ „ნ. ვ. ტაგ.“-ი იუწყება: კერბერს განზრახვა აქვს რეიხსრატის დეპუტატებს ჯამაგირი მოუმატოს. ყოველ დეპუტატს ამას იქით წელიწადში 7 ათასი კრონა მიეცემა. ყველა დეპუტატებს საერთოდ წელიწადში სამი მილიონი კრონა ემატებათ.

იტალია. რესპუბლიკელმა დეპუტატმა მირაბელიმ თავის პარტიის სახელით წინადადება შეიტანა პალატაში, სამხედრო ხარჯებს დავაკლოთო. მთელი ოთხი დღე იკამათა პალატამ ამ წინადადების თაობაზე და ბოლოს 269 ხმით 64 წინააღმდეგ უარ-ჰყო. რესპუბლიკელებს მარტო სოციალისტები მიემხრნენ.

შეერთებული შტატები. ნიუ-იორკის შტატის ზანგებმა ქალ. ნიუ-იორკში 7 თებერვალს კრება მოახდინეს და პროტესტი გამოაცხადეს, სამხრეთი შტატები საარჩევნო უფლებას რად ართმევენ ზანგებსაო. კრებას ზანგ კრუმის საქმეზედ ჰქონდა მსჯელობა. რუზველტმა კრუმი ჩარლსტოუნში ბაჟების ამკრებად დანიშნა. ამას წინად სენატის სავაჭრო კომიტეტმა დაადგინა: კრუმის დამტკიცება ხსენებულ თანამდებობაზე შეუძლებელიაო. ზანგების კრებამ კი დაადგინა, კრუმი უსათუოდ უნდა დამტკიცდეს ბაჟების ამკრებად ჩარლსტოუნშიო. როცა-კი ვინმე რუზველტის სახელს ახსენებდა, ზანგები აღტაცებით თანაგრძნობას და პატივისცემას უცხადებდნენ პრეზიდენტს. კრებას 100 ათასი ზანგი ამომრჩეველი დაესწრო.

◆ ვაშინგტონში სამხედრო აკადემიის ახალ შენობის საძირკველი ჩაუყრიათ. ამ ამბავს პრეზიდენტი რუზველტიც დასწრებია და სიტყვაც წარმოუთქვამს. უცხოეთის გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ სიტყვას. პრეზიდენტს უთქვამს:

„თუ ხალხი იმდენად მდიდარი და მამაცია, რომ შეურაცხყოფის მოთმენა უკადრისად მიაჩნია და ამავე დროს კი თადარიგს არ იჭერს, რომ ომის დროს მტერს პასუხი რიგზე გასცეს, ასეთი ხალხი თავის თავს თითონვე უთხრის ძირსა: ეროვნული დამცირება და განადგურება არ ასცდება. ჩვენ ისტორიულის განვითარების ისეთ მომენტს მივაწიეთ, რომ გვინდა, თუ არა გვინდა, დიდის მსოფლიო სახელმწიფოს როლი უნდა ვიკისროთ. ამ როლს თავიდან ვერ ავიცილებთ, ეს ჩვენ ხელთ არაა; ჩვენ ხელთ მარტო ისაა, კარგად შევასრულებთ ამ როლს, თუ ცუდად. უკანასკნელ წლებში თვით საქმეთა ვითარებამ ჩვენ მსოფლიო სახელმწიფოს როლი მოგვახვია თავზე. დიდ პასუხის გებაში ვართ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიაც. რაკი ასეთ პასუხის გებაში ვართ, ჩვენ სიტყვასაც ძალა უნდა ჰქონდეს მშვიდობიანობისა და სამართლიანობის დამყარების დროს. ჩვენ სიტყვას მხოლოდ მაშინ ექმნება ძალა, თუ ჩვენ გადაჭრით გავაგებინებთ ყველას, რომ მშვიდობიანობას ჩვენის ძლიერების საბუთით ვთხოულობთ და არა ჩვენის სისუსტისა და ლაჩრობის გამო.

მაკედონია. „ვოს. ცაიტ.“-ს სწერენ სოფიიდან: ბოლგარიის საერო კრების დეპუტატ-სოციალისტებმა ჟორესს დეპეშით სთხოვეს: როცა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში მაკედონიაზე ლაპარაკი ჩამოვარდება, დახმარება გაუწიეთ მაკედონიასაო.

ახალი ამბავი

◆ 17 თებერვალს ტფილისის ქალაქის საბჭომ მთელი კრება სოლოლაკის გორის ქვეშ განზრახულ ტუნელის კონცესიონერთა ხელშეკრულების განხილვას მოანდომა. ამ საღამოს საბჭომ, როგორც იქმნა, დაამთავრა ხელშეკრულების განხილვა. საბჭომ, სხვათა შორის, ბოლოში ჩაუმატა ერთი მუხლი, რომლის ძალითაც ქალაქი მაშინ დართავს კონცესიონერებს ტუნელის გაყვანის ნებას, როდესაც სამთო გამგეობა საბოლოოდ გამოარკვევს, რომ აბანოებს ტუნელის გაყვანით არავითარი ვნება არ მიადგებათ.

◆ ვენიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა: „ვლ. ალექსი-მესხიშვილს ყელში ამოსჭრეს ხუთი დიდი მუწუკი, რის გამოც სუნთქვა მაშინვე გაუადვილდა. პირველ ოპერაციას კარგი შედეგი მოჰყვა.“

◆ ტფილისის გუბერნატორი შეჰკითხებია ქალაქის მოურავის მოადგილეს, რამდენი თანხა აქვს სახელოსნო სასწავლებელს და რა მდგომარეობაშია ეს თანხაო. ბ-ნ შესტაკოვს უცნობებია, რომ ძირეულ თანხიდან მეტი წილი ქალაქს ნასესხები აქვს თავისს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქი ამის სარგებელს იხდის და სასწავლებელსაც წლითი-წლობამდე თავისის ხარჯით ინახავსო. ნასესხების შესავსებლად ქალაქი მუდამ წელს იხდის ნაწილ-ნაწილადაო.

ქალები), რითაც დიდი ვნება მიეყენა. საქმე იმაშია, რომ ტივების ჩამოსატანად ზავოდს დასჭირდა მდინარის უმთავრეს ტოტის კალაპოტის შეცვლა, დამბების გაკეთება და სხვა მუშაობანი, რითაც რიყით სარგებლობა შეუძლებლად ჰყო. საზოგადოებამ ველარ მოითმინა და თავისი დარდები ზავოდის ყოფილს უფროსს ბ. ჟ—რს მოახსენა. ამ უკანასკნელმა გინებით გასცა პასუხი: „თქვე მოღალატენო! ვინ მოგცათ თქვენ მამული, სახელმწიფოაო!“ ამით დასრულდა მათი საჩივარიც. აქ არ შემიძლიან გვერდი ავუარო კიდევ ერთ გარემოებას. ჩვენს საზოგადოებას მიზომილი ჰქონდა დიდ-ძალი მშვენიერი მუხნარ-წაბლიანი ტყე. ეს საშვილიშვილო განძიც ზოგიერთ შინაურ ქვემძრომ წურბელათა წყალობით ერთიანად ხელიდან გამოეცალათ: აიჭრა და გაიყიდა საზოგადოებისათვის თითქმის უსარგებლოდ! შემდეგ თაობას არამც თუ საშენებელი ხე-ტყე, შეშაც არ ექნება.

ზემოხსენებულ მიზეზთა წყალობით გამოწვეულ სიღარიბემ ისე დასჩაგრა და დაიმონავა აქაური აფხაზი, რომ თავისი ცხოვრების გაუმჯობესების უნარი ერთიანად დაეკარგა,—სულით დაეცა. ძველ პირობებში ცხოვრება საუკუნოდ დაჰკარგა, დღევანდელს კი ვეღარ ეწყობა და ვერ შეეჩვია: ამ გადამავალ ხანამ ზნეობრივადაც და გონებრივად დასცა ჩვენი სოფელი. ცხოვრებამ მეტი მხნეობა და გარჯა მოსთხოვა აფხაზს, რომლის ასრულებაც მან ვეღარ შეიძლო: ის ჩვეულიყო მდიდარი ბუნების წყალობით მშვენიერ ხავერდოვან მოლზე გვერდზე წამოწოლილით და მოჭიდავე ლალ ხართა მზერით ცხოვრების გატარებას. უვიცობა-უცოდინარობა და სიღარიბე აყენებს ამ სიმპატიურ ხალხს გადაშენების გზაზე: თუ ერთიანად აღარ ამოწყდა საზოგადოდ ეს ხალხი, მაინც თავის ეროვნულს ელფერს დაჰკარგავს და უფრო მძლავრი ერის მიერ შთაინთქმება! ბუნებრივ მსვლელობას თუ ხელი არ შეუშალეს, აღმოსავლეთ აფხაზეთი ერთის საუკუნის განმავლობაში სამეგრელოდ გარდაიქცევა... ამას თავი დავანებოთ. არამც თუ მარტო ჩვენს სოფელში, საზოგადოდ აფხაზთა შორის ძალიან გავრცელებულია სიკვდილი, მეტადრე ზღვის პირად მდებარე სოფლებში, სადაც მალარია მძვინვარებს. ამ მხრივ სოფელი აძვიბჟა უკეთეს პირობებში თუ არა, უარესში მაინც არ არის, მაინც გადაშენების გზას ადგია. აი ამ სოფლის შესახებ ცნობები, მეტრიკულ წიგნებიდან ამონაწერი:

1880 წ.—1889 წლამდის: დაბადებულა—274 სული, მომკვდარა—366 სული, დააკლდა—92 სული; 1890 წ.—1899 წლამდის: დაბადებულა 337, მომკვდარა—419, დააკლდა 82 სული. 1900—1902 წლებში: დაბადებულა—118, მომკვდარა—154, დააკლდა 36 სული; სულ ოცდასამი წლის განმავლობაში დაბადებულა: 729, მომკვდარა—939, მცხოვრებთა რიცხვს მომატების მაგიერ დააკლდა 210 სული! აქ კიდევ ერთი გარემოებაა მხედველობაში მისაღები: ჩვენს სოფელში ბევრი გამაჰმადიანებული აფხაზიცაა, რომელნიც აღარ ინიშნებიან სიკვდილს შემდეგ მეტრიკულ წიგნებში,—მათი შვილები კი, რადგანაც ძალას ატანენ, ინათლებიან. მაშასადამე, მკვდართა რიცხვს რამდენიმე ასეული კიდევ უნდა მიემატოს. ხალხის გადაშენებაა, აბა, რა არის ეს? ჩემის აზრით, აი რა არის ამ საწუხარო ფაქტის მიზეზი: ზევით აღნიშნულ მიზეზთა გამო ხალხი საშინლად დაღარიბდა, ცხოვრების პირობები ძალიან შეიცვალა. ძველად, ომიანობამდის ხალხი უზრუნველად სცხოვრობდა მდიდარ ბუნების წიაღთა შინა, რაც უნდოდა სულსა და გულს, რასაკვირველია, მისი პრიმიტიულ მოთხოვნილებების შესაფერად, ყველაფერს მზა-მზარეულად ბუნება აძლევდა. აფხაზიც უმეტეს ნაწილს თავისს დროისას ჯირითში, თუ ლაზღანდარობა-ქეიფში ატარებდა, ხნავდა და სთესდა იმდენს, რამდენიც წლიურ სარჩოდ ეყოფოდა, ესე იგი, ერთ-ორ ქცევას. რძე, ყველი და ხორცი რამდენიც უნდოდა, იმდენი ჰქონდა. მამა-პაპეულ ფაცხაც კი გალაღებულ აფხაზს კარგს თავ-შესაფარს უწევდა. ჰავაც უფრო თბილი იყო, რადგანაც მთელი აფხაზეთი ტყედ იყო ქცეული. ომიანობის შემდეგ *) კი აფხაზის ცხოვრება ძირიანად შეიცვალა: უმეტესი ნაწილი მიწა-წყლისა ჩამოერთვა და დაურიგდა ზოგი მეახალშენეთ, ზოგი თავად-აზნაურობას, მთები და ტყეები ხაზინამ დაისაკუთრა, დანარჩენი, უფრო მწირი ადგილები, გლეხკაცობას მიეზომა—თვითეულს საზოგადოებას ცალ-ცალკედ, და მით აფხაზისათვის საქონლის მოვლა-მოშენებით ცხოვრების გატანა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა; აფხაზი იძულებული შეიქმნა სისხლითა და ოფლით ერჩინა თავი,—მიჰმართა მძიმე მუშაობას ხვნა-თესვას. ამ შეუჩვეველმა მუშაობამ შეასუსტა, მასთან კარგი სასმელ-საჭმელი სანატრელი დაურჩა. ომიანობამდის ვის გაეგონა ყველისა, თუ მაწვნის ფასი, ეხლა ამათ ფულითაც ველარ იყიდდა, რადგანაც აღარ იყო. თან მეტი მოთხოვნილებებიც აეტუზა წინ. გაიკაფა ტყეები, აციედა ჰავა,—ასე რომ პრიმიტიული ფაცხა სადგომად გამოუსადეგარი აღმოჩნდა, უკეთეს სადგომის აშენების არც უნარი ჰქონდა, არც შეძლება. გახშირდა მიმოსვლა და გაჩნდა სხვა და სხვა ავადმყოფობანი: ეს ტიფი ვარ, ეს მუცელა, ეს ყვავილიო და სხვანი. მათთან ბრძოლის არც ცოდნა ჰქონდა, არც უნარი, ძველებური, „გამოცდილი“ საშვალებანი-კი, როგორც, მაგალ., ზვარაკები, ლოცვები, ავგაროზები, გამოუსადეგარნი აღმოჩნდნენ. საკმაო საზრდოს უქონლობით და შეუჩვეველ ჯაფით დასუსტებული ორგანიზმი კი საუკეთესო ნიადაგად აღმოჩნდა სხვა და სხვა სენისათვის, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს მალარიას. ზღვისა და მდინარეების პირად მცხოვრები ყოველი აფხაზი თითქმის მალარიითაა ავად, ეს ნამდვილია. დღეს აფხაზეთის სოფლის ჯარში ათასში ერთს თუ შეხვდები, რომ ტყლიპით მუცელი არ ჰქონდეს გაბერილი, თვალები ჩაყვითლებული, ფერმიხდილი და უსისხლ-ხორცო. ეს საშინელი მტერი კაცობრიობისა ისე მოედება ზაფხულობით აფხაზეთს, რომ ოჯახს ვეღარ ნახავ, ერთი ორი მაინც არ იწვეს ამ სენით ავად. აფხაზი ისე შეეჩვია ამ სენს, რომ „სენსაც“ აღარ უძახის. ამ საშინელი მტერით დასუსტებული, ღონე მიხდილი აფხაზის ორგანიზმი საუკეთესო ნიადაგია სხვა და სხვა ავადმყოფობისა, მეტადრე ფილტვების ანთებისა: აფხაზთა უმეტესი ნაწილი ამ ავადმყოფობით იხოცება. ფილტვების ანთება ჩვენში გადამდებ ავადმყოფობათ, ეპიდემიურად გარდაქცეულა. ამას ხელს უწყობს სადგომიც,—ფარღალალა, შეუღესავი ფაცხები, რომელშიაც ქარი თავისუფლად შეისინებს ხოლმე ყოველ მხრივ, და ძველებური, უგუნური

---

*) უკეთ—რუსის მთავრობის დამყარების შემდეგ შეიცვალა აფხაზთა ცხოვრება.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ფინანსთა მინისტრს უარი უთქვამს კავკასიის გამოფენისაგან **დარჩენილ ვალის** გასასტუმრებლად ხაზინის ფულებიდან დაკმაყოფილებაზე. ისიც გადმოგვცეს, რომ გუშინ რამდენსამე კაცს კიდეც შეუტანია საჩივარი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაზე და დარჩენილ ვალების დაკმაყოფილებას სთხოვენ სასამართლოს.

◆ ტფილისის ვაჭართა უსტაბაშს წარუდგენია გუბერნატორისათვის დასამტკიცებლად ვაჭართა უკანასკნელ საზოგადო კრების დადგენილება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ასი სტიპენდია იქმნეს დაწესებული ღარიბ ვაჭართა შვილების ასაზრდელად.

◆ შინა-მრეწველობის გამოკვლევა ჩვენს ქვეყანაში ამ მრეწველობის კომიტეტს თუმცა ჯერ არ დაუმთავრებია, მაგრამ ბევრი ადგილები მაინც გამოუკვლევია, მაგალითად, ერევნისა და ბაქოს გუბერნიებში ხალიჩების მრეწველობის შესახებ საყურადღებო ცნობები შეუკრებია. მაგრამ კომიტეტის მუშაობას უსახსრობა აბრკოლებს, ამისათვის უმაღლესს მთავრობისათვის უთხოვნია კიდევ ამ წლისათვის ორასი თუმანი შინა მრეწველობის გამოსაკვლევად ხარჯების აღსადგენად.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა პროგრამის განხილვის განსაგრძობად მოხდება პარასკევს, 21 თებერვალს.

◆ ხმოსანს ა. ს. ბაბოვს წერილობით განცხადება წარუდგენია ქალაქის მოურავის მოადგილისათვის საბჭოს მოსახსენებლად მუხრანიანთ ხიდის აშენების შესახებ. ბ-ნი ბაბოვი აღნიშნავს, რომ ამ ხიდის აშენება საბჭომ ჯერ კიდევ 1880 წელს გადასწყვიტა და დაადგინა, ამ საქმისათვის სესხიც აიღოს ქალაქმაო. ხიდის პროექტი და ხარჯიც შედგენილ და მოწონებულ იქმნა საბჭოს მიერ, მხოლოდ საქმე იმან შეაჩერა, რომ მტკვრის გაღმა-გამოღმა ადგილების შეძენა დასჭირდა ქალაქს და პატრონებმა ძლიერ დიდი ფასი დაჰნიშნეს ამ ადგილებისაო. 1891 წელს უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, ადგილები კომისიის შეფასებით შეიძინოს ქალაქმაო; კომისიამაც ეს ადგილები 49 ათას მანეთად შეაფასა და მას აქეთ ეს საქმე მიძინებული დარჩაო. ბ. ბაბოვი სთხოვს საბჭოს, ცალკე კომისია იქმნეს არჩეული, რომელსაც დაევალოს განსაკუთრებით ამ საქმის შესახები მასალა შეისწავლოს და დააჩქაროს იმის შესრულება, რაც ქალაქმა დიდი ხანია დაადგინაო.

◆ ეს მეორე თვე იქნება, რაც დაკეტილია მტკვარზე მუხრანის ბორანი. ამ ადგილას იმდენად საჭიროა ხიდი, რომ ჯერ კიდევ ამ ოცდა-ათის წლის წინად აღიძრა ქალაქის გამგეობაში ლაპარაკი მუხრანის ხიდის გაკეთების შესახებ, მაგრამ დღევანდლამდე ჩვენის ქალაქის „მამების“ მეცადინეობით ეს საქმე დამარხულია არხივში. ეს კიდევ არაფერი, რომ ბორანი მაინც რიგიანად იყოს მოწყობილი და ხალხს საშუალება მიეცეს ისარგებლოს. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ამ ერთის თვის წინად ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, გაეხსნათ, რაც შეიძლებოდა მალე, მუხრანის ბორანი, მაგრამ აგერ მეორე თვე გადის და ბორანი მაინც დაკეტილია.

◆ რადგან ჩვენს ქვეყანაში თითქმის მუდამაა ყველგან ყვავილით ავადმყოფობა და ასაცრელ წამალსაც ამ ადგილებში ყველანი თავ-თავისთვის იწერენ და ხშირად დროზედაც არ მოსდით, საექიმო სამმართველოს განუზრახავს ტფილისში სახბორე და მასთან ყვავილის ასაცრელიც გამართოს, რომ აქ დამზადებული ასაცრელიც დროზე მიაწოდოს ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში.

◆ შიათურის შტოზე, მარტოთუბანსა და ბოსლევს, როგორც გვატყობინებენ, 17 თებერვალს ზვავი ჩამოწვა, რის გამო ამ შტოზე პირველ ხანს მატარებლები შეუჩერებლად ველარ დადიოდნენ. იმ ალაგას, სადაც ზვავი ჩამოწვა, მეორე ლიანდაგი უკვე გაუმართავთ.

◆ ამ დღეებში ტფილისიდან ერევანს და მერე იქით მიემგზავრება ინჟენერთა დასი, მთავარ ინჟენერის ფედულოვის მეთაურობით, თავრიზისაკენ (სპარსეთში) გასაყვან რკინის გზის გამოსაკვლევად.

◆ „უნიონისა“, შუკერტისა და სიმენსის და გალსკეს ფირმების წარმომადგენელთ რამდენჯერმე მიჰმართეს ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საამშენებლო განყოფილებას და სთხოვეს ნება დაერთო ტფილისის ქუჩების სხვა-და-სხვა ადგილებზე კერძო მცხოვრებთა სახლებში გაეყვანათ საელექტრონო მავთულები სახლებისა და ეზოების გასანათებლად. გუშინ ტფილისის გუბერნიის სამმართველომ შეატყობინა ეს გარემოება ქალაქის გამგეობას და სთხოვა, გამოგვიგზავნეთ იმ ქუჩებისა და სახლების სიები, სადაც აღნიშნულ ფირმების წარმომადგენელნი აპირებენ საელექტრონო ფარნების გამართვას და განათებასაო.

◆ პარასკევს, 21 თებერვალს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება ხორცის დუქნების გამგე კომიტეტს, რომელმაც უნდა განიხილოს ნაძალადევსა, დიდუბესა და სხვა განაპირა ადგილებში ხორცის დუქნების გამართვის საქმე.

◆ როგორც გორის მაზრის სოფელ როკიდან გვატყობინებენ, იქ ამასწინად ამ სოფლის მცხოვრებნი გიგო, მალხაზ და სხვანი დელიშვილები წამოსწევიან თავიანთ მეზობელს ალექსანდრე პილიშვილს, უცემიათ და წაურთმევიათ ვერცხლით მოჭედილი ხანჯალი, 12 ვერცხლის ქილა და ფულად ასი მანეთი. ყველა აღნიშნულნი პირნი პასუხის გებაში მიუციათ.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში შეუკრებია ცნობები შესახებ იმისა, თუ სად რამდენი ითესება ბრინჯი კავკასიაში. ეს ცნობები იმისთვისაა საჭირო, რომ უნდათ როგორმე ისე მოახერხონ, შეამცირონ ბრინჯის თესვა, რადგან ამ მცენარეს მეტად სველი ადგილი უყვარს და ეს-კი ციებ-ცხელებით ავადმყოფობას ავრცელებს. შეკრებილი ცნობები ცალკე კომისიას გადასცეს, რომ გამოიკვლიოს, რამდენად შესაძლებელი იქმნება ბრინჯის დათესვის შემცირება ისე, რომ ამათი მწარმოებელი ნივთიერად არ შევიწროვდნენ და რა საშუალებაა ამისათვის სახმარებლად საჭირო.

◆ 11 თებერვალს მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ტფილისის მცხოვრების მარიამ ივანოვისა, რომელსაც ნაფიცი ვექილი მიხეილ გარბოვსკი უწოდა გალახვს. ივანოვის ქმრს სამოსამართლო პალატის სადგომში ესრედ წოდებულ „მიხეილის ზალაში“ მოსვლია უსიამოვნება გარბოვსკისთან და ორჯელ ყბაში გაურტყამს. მომრიგებელ მოსამართლემ ეს საქმე გადასდო რადგან დამატებით მოწმების დაბარება ითხოვეს მომჩივან-მოპასუხემ.

◆ საგუბერნიო ექიმების თანაშემწენი ბ-ნნი მაჭავარიანი და ბრძელი ტფილისიდან წასულან სამსახურისა გამო.—პირველი ბორჩალოს მხარეს, მეორე—ქართლს.

◆ 15 თებერვალს, ღამე, პოლიციის მე-5 ნაწილში ძმ. მელიქოვების მუშას, ალაბელ ალაევს სძინებია მელიქოვების სახლის ბალკონზე. ღამე მძინარე ალაევი გამოუღვიძებია რაღაც ხმაურობას. როცა გამოუხედნია კარში, შეუნიშნავს, რომ სახლის სახურავზე ვიღაცებს გადმოუვლიათ. უცნობნი ამ სახლიდან ჩასულან „ძველ ტფილისის“ სასტუმროში. ეს ამბავი ალაევს უცნობებია მეხოვევსათვის, რომელსაც მოუწვევია პოლიციის ორი უმცროსი მოხელე და წასულან „ძველ ტფილისის“ სასტუმროში იმ უცნობ კაცთა მოსაძებნად. ნომრების მოსამსახურეს განუცხადებია, გუშინ აქ ორი ვიღაც უცნობი კაცი ჩამოხტა ნომრებში, ჩაიკეტნენ და არ ვიცით, ვინ არიანო. პოლიციელნი მისულან, ურახუნებიათ ნომრის კარები, მაგრამ არავის არ გაუღია. მაშინ ერთი იქვე დარაჯად გაჩერებულა, მეორეს მოუყვანია უბნის ზედამხედველი ზუბრიცკი, რომელსაც შეუმტვრევია ნომრის კარები და დაუპატიმრებია ორი ვიღაც უცნობი კაცი. ერთს უთქვამს, ავლაბრის მცხოვრები ვარ, გვარად ივანე ზარევანდიშვილიო, ხოლო მეორე სიონის ქუჩაზე მცხოვრები ყოფილა სიმონ პასტოიანცი. იქვე უნახავთ შეკრული ფუთა მოპარულ ჩულქებითა და სხვა ნივთებით; სამის საჟენის სიგრძე თოკი, ხერხი, რკინის კეტი და სხვა იარაღი. როგორც გამოირკვა, ქურდებს გაუტეხიათ დახურულ ბაზარში შაუმოვის მაღაზია და გამოუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები. ქურდები დააპატიმრეს.

◆ ხვალ, 20 თებერვალს, სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების გიორგი ბრეგვაძისა, რომელსაც ჰბრალდება საზოგადო ფულის გაფლანგვა; გიორგი ხაჩიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება; თარხან თავართქილაძისა, რომელსაც სააქციზო წესდების დარღვევა ჰბრალდება, და სხვა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამას წინად ფინლანდიაში უმაღლესის ბრძანებით ოთხი გუბერნატორი დაითხოვეს. ეხლა უმაღლესისავე ბრძანებით ამ ადგილებზე ახალი გუბერნატორები დანიშნეს; ზოგი შიდა რუსეთიდანაა.

◆ იმავე ფინლანდიაში უმაღლესის ბრძანებით ცვლილებანი მოახდინეს ბეჭდვითი საქმის ადგილობრივ მთავარ სამმართველოში. თავმჯდომარეს მეტი უფლებანი მიენიჭა. ამ ადგილზე ეხლა დანიშნეს უმაღლესის კარის კამერჰერი გრაფი ალექსანდრე კრონგელმი.

◆ საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით, ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემენ, მიუმართავს პოლიციისათვის და უთხოვნია, ნუ შეუშვებთ საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთ სამეცნიერო საზოგადოებათა სხდომებზე, თუ სასწავლებლის მთავრობის მოწმობანი არ ექმნებათო.

◆ პეტერბურგში არსებული რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის დამხმარებელი საზოგადოება აპირებს ამ ახლო-მომავალში მოაწყოს მოძრავი გამოფენა ხელოსანთა და შინა მრეწველთა ნაწარმოებისა. გამოფენა გაიმართება მდინარეებში ბარჟებზედ და ხმელეთზედ რკინის გზის ვაგონებში. ამ გვარად გამოფენის აზრი უფრო ის არის, რომ ხელოსნები და შინა-მრეწველნი საქმეს არ მოაცდინონ გამოფენაზედ მისვლით, არამედ თვით გამოფენა მიუახლოვონ ხალხს და, მაშასადამე, გაუადვილონ მრეწველებს გამოფენის დათვალიერება. გამოფენას აზრად ექმნება: 1) გააცნოს შინა-მრეწველთ, ხელოსანთ და საქმის მოყვარულთ გაუმჯობესებული იარაღები, მანქანები, საუკეთესოდ დამზადებული ნაწარმოები და ამ ნაწარმოებისათვის საჭირო მასალის შეძენა-დამზადება; 2) გაავრცელოს სახელმძღვანელოები, წიგნაკები და ყველა ის ცოდნა, რაც სა-

---

ჩვეულებები. აქ რა ჯოჯოხეთი ამინდიც უნდა იყოს, მიცვალებულის ახლო ნათესავნი უეჭველად მიწის იატაკზედ უნდა ეყარნენ, სანამ მიცვალებული სახლში ასვენია; ფეხშიშველადვე უნდა მიაცილონ საფლავამდის! რა საკვირველია, ამისთანა უგუნურ ჩვეულების წყალობით ერთ მიცვალებულს მეორე და მესამეც თან გაჰყვეს. ეს ასეცაა. აი ერთის თვის წინად მომხდარი ამბავი: ჩემს მეზობელს გლეხს გ—ს ფილტვების ანთებით გასათხოვარი ქალიშვილი მოუკვდა. ერთის კვირის განმავლობაში ამან თან გაიყოლია მამა და ბიძა. ამ უკანასკნელთა დასაფლავებაზედ გაცივდნენ და მოკვდნენ პირველის ცოლის ძმა და ბიძაშვილი. ამ უკანასკნელის ტირილში გაცივდა მისი მეზობელი გასათხოვარი ქალიშვილი და მოკვდა. ამის დაც ფილტვების ანთებით მწარე ავადმყოფი დავტოვე,—უეჭველია, არც ის გადარჩება. მე დარწმუნებული ვარ, ამით არ დაბოლოვდებოდა საქმე, მაგრამ მე შემდეგ ცნობები აღარ მიმიღია. აი, ერთმა ქალიშვილმა ექვსი კაცი კიდევ იმსხვერპლა ჩვენი უვიცობისა და უგუნურობის წყალობით. ამისთანა პირობებში მოდი და ნუ გადაშენდები! თუთხმეტის დღის განმავლობაში ექვსი კაცის სიკვდილი დიდად სამწუხარო და საგრძნობელია.

ერთს ამისთანა ტირილში ვიყავი მეც. სხვათა შორის, სიტყვა ჩამოვარდა იმის შესახებ, თუ აფხაზები ასე რად იხოცებიანო. ამაზედ ერთმა დროულმა აფხაზმა იოხუნჯა მწარედ: „ჩვენ, აფხაზები, ბატონებო, გაჩენიდანვე სტუმართ-მოყვარენი ვიყავითო. დღემდისაც ამ ჩვეულებისათვის არ გვიღალატნია. დღეს ყოველ მხრიდან კარზედ მოგვადგა სტუმარი—რუსი, მეგრელი, თათარი, სომეხი და სხვა მილეთის ხალხი. აფხაზეთს კი მცხოვრებთა განსაზღვრულ რაოდენობის მეტის რჩენა არ შეუძლია, რისგამოც ჩვენ სტუმართ-მოყვარულად ჩვენს მიწა-წყალს მათ ვუთმობთ: ისინი მოდიან, ჩვენ მოვდივართო!“ მართლაც...

ექიმი და აფთიაქის წამალი რას ჰქვიან, აფხაზმა არც კი იცის, იმათი ჯერ არაფერი სწამს. მისი ერთად-ერთი მიწა და მშველელი ავადმყოფობაში თათრული „აშვყვა“ (ავგაროზები) და ლოცვა-ზვარაკებია, რადგანაც დარწმუნებულია, რაც ემართება, ჩემი ბრალიაო, საკადრისი პატივი ვერ ვეცი ჩემს სალოცავსაო. ამიტომაც ავადმყოფს თუ რამე აბადია, ავგაროზის დამწერ თათრებისა და მკითხავების ხელში გადადის. ვერ წარმოიდგენთ, თუ რა დიდსა და აუწერელს პატივის-ცემაში ჰყავთ აფხაზებს ეს სათათრეთიდან გადმოხვეწილი უვიცი მეავგაროზეები. ერთს ჩემს მეზობელს ფეხი მოეჭრა, ავგაროზი ეშოვა და ფეხზე მიეკრა; „რა წამალს აღებთ მეთქი, ვკითხე“.—„წადი, დამეკარგე თქვენი და თქვენი წამლით. წიგნი და წამალი თათრისაა, თორემ თქვენ რა იცითო“, და ამ თემაზე მოჰყვა ლათაიას. უფრო გულ-საკლავია, როცა ამისთანა სურათი თვალ-წინ წარმოგიდგებათ: დაბურულს ტყეში რამდენსამე აფხაზს თავი მოუყრია, თან საკაცეზე მოუყვანიათ უკანასკნელ დროში მყოფი ავადმყოფი, დაუკლავთ საზვარაკო საკლავი, მოუხარშავთ კვერები და ევედრებიან სალოცავს, ავადმყოფს მისი შეცოდებანი მიუტევეო! რა თქმა უნდა, ამით ავადმყოფს სიცოცხლეს უსწრაფვენ. *)

პ. ბ.

---

*) შესანიშნავია ის გარემოება, რომ უმეტეს ნაწილად ამ ცერემონიაში ქალი მონაწილეობას არ ღებულობს, მასთან ზვარაკის ხორცის მისთვის „ტაბუა“ აღკრძალულია.

ამისთანა ხშირს სიკვდილს, რასაკვირველია, პირად ობოლთა სიმრავლესთან ჰსდევს. აფხაზეთში მათი მდგომარეობა აუწერელია. საზოგადოდ სოხუმის ოლქისათვის არ არსებობს არავითარი კანონი ობოლთათვის; ისინი სრულნი უმწეონი არიან, თუ რამე გააჩნიათ, ოჯახის განმანადგურებელ ტირილს უნდება. თუ რამე გადარჩა, ამას ვინც წაახელებს, ის სჭამს და ჰფლანგავს,—თვითონ კი მშიერ-მწყურვალნი, შიშველ-ტიტველნი ჰყრიან ვინმე ნათესავის სახლში. ერთ-ორჯელ სცადეს, ვისიც ჯერ არს, იმისი ყურადღება მიექციათ ამ საწყლების ყოფა-ცხოვრებაზე. პასუხად კი მიიღეს: „მე სად მცალიან ვიღაც ოხერ ობლებისათვის, წადი, დამეკარგენითო: ჯერ ნედოიმკებიც არ ამაღიაო!“ მართლაც, მათთვის არავის არ სცალიან.

უბედურ კაცს ქვა აღმართზე მოეწევაო, სწორედ ისე დაემართა აძვიბჟელებსაც. სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალ-ყურედ ყოფილის მ. ბ. ხელაიას მეცადინეობით ამ შვიდის წლის წინად ჩვენს სოფელში გაიხსნა სამრევლო ერთ-კლასიანი სკოლა. გარნა სჯობდა ეს სკოლა სრულიადაც არ დაარსებულიყო: შვიდის წლის განმავლობაში სკოლამ არც ერთი ბავშვი წერა-კითხვის მცოდნე არ შესძინა სოფელს! ან როგორ შეიძლება სკოლა ნაყოფიერი იყვეს, როდესაც მასწავლებლად ვინ გინდარას ჰნიშნავენ. მიუხედავად იმისა, მომზადებულია თუ არა მასწავლებლის ასპარეზზე სამუშაოდ. მასთან ჩვენს მასწავლებლებს, რომელნიც ყოველ წელს თითქმის სამ ოთხჯელ იცვლებიან, არც ერთი სიტყვა აფხაზური არ ესმისთ, ბავშვებს—რუსული: სხედან ისე უმოქმედოდ კლასში, თითქოს ერთმანერთს გაებუტნენო. დღეს მასწავლებლად მღვდელი-მასწავლებელი გვყავს, რომელმაც მღვდლობა უარ-ჰყო დაქვრივების გამო. მასწავლებლად დანიშვნით ლუკმა-პური გაუჩინეს.

რაც ქრისტიანობა მიუღიათ აფხაზებს, წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა. ეხლა კი სლავურად.

ერთი ახირებული ამბავიც. მოგეხსენებათ, აფხაზეთში წოდებათა შორის ხიდია ჩატეხილი როგორც თითქმის ყველგან საქართველოში, მაგრამ მაგარი ის არის, რომ აქ ხიდი ჩატეხილია არა მარტო კეთილშობილსა და გლეხს შუა, არამედ თვით გლეხთა შუაც: წმინდა გლეხს და ნაყმევს შუა. მათ შუა ქორწინება ადათით აღკრძალულია, დამარღვეველისათვის ტყვია-წამალი. ამ იანვარში ამ ადათის გადალახვა სიყვარულმა გაიბედვინა ერთს ნაყმევს გლეხს: მან მოსტაცა „წმინდა“ გლეხს ქალი-შვილი და სადღაც გაჰქრა. გაიყო საზოგადოება ორ ბანაკად: ერთს ეკუთვნიან „წმინდა“ გლეხები, რომელთაც თავის თავი შეურაცხყოფილად მიაჩნიათ, მეორეს კი—„უწმინდური“ გლეხები—ნაყმევები. საქმის დასასრული ადვილი გამოსაცნობია: „ნაყმევს“ საცოლეს (თუ უკანონო ცოლს) წაართმევენ. ყმაწვილი ამ შეურაცხყოფას ველარ აიტანს და ან მოჰკლავს ვინმეს, ან თავს შეაკლავს.

ჭამუდ ბეი.

პირობა საქმის რიგიანად წარმოებისათვის და 3) ჩააგონოს ხალხს ცოდნა ხელოსნობის ჰიგიენისა და გააფრთხილოს მრეწველნი მანქანა-იარაღების ხმარებაში შესაძლებელ უბედურებათა თავიდან აცდენას. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვევენ როგორც რუსეთის ქვეშევრდომთ, ისე უცხოელთაც. ამ საქმის მოწყობა-რიგება მიენდობა განსაკუთრებულს კომიტეტს სენატორის ე. ფ. ტურაუს თავმჯდომარეობით. გამოფენაზე მიიწვევენ საქმის კარგად მცოდნე კომისარებს, რომელთაც მოვალეობა იქნება მნახველთათვის აუხსნან და ჩააგონონ მნიშვნელობა და სარგებლობანი ამა თუ იმ იარაღ მანქანებისა და სხვ. სადაც საჭიროება მოითხოვს, იქ მანქანებსაც აამოქმედებენ, რომ ხალხმა გაითვალისწინოს და, მაშასადამე, უფრო დაახლოვებით გაიცნოს და გაიგოს მათი მოწყობილობა-მომართულობა და მათივ შემწეობით ნაკეთები ნახონ და საქმის ძალა შეიგნონ კიდეც. ეს გამოფენა რამდენსამე წელიწადს გასტანს და არ დასრულდება მანამდის, სანამ არ მოივლის იმ ადგილებს მაინც, სადაც ხელოსნობას და შინა-მრეწველობას მისდევენ. გამოფენის გამართვას შარშანვე (1902 წ.) აპირობდნენ, მაგრამ აზრი შეიცვალეს და ნაცვლად მმოძრავისა, გაიმართა ადგილობრივი სრულიად რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენა პეტერბურგში. ზემოაღნიშნულ მმოძრავ გამოფენას გამართვას კი წრეულს შეუდგებიან.

თეატრი

პეტერბურგი. 7 თებერვალი მეტად საინტერესო დღე იყო პეტერბურგელ ქართველებისათვის. ამ დღეს საზოგადოების „შალმას" დარბაზში გაიმართა ქართული წარმოდგენა. რასა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევა თავს მოუყრიდა პეტერბურგში მყოფ ქართველებს და მართლაც ასე მოხდა. საღამოს 9 საათზედ დარბაზი სავსე იყო ხალხით; ჩანს, პეტერბურგში მრავალი ქართველობა ყოფილა—ქალიცა და კაციც. დარბაზი მეტად საინტერესო სანახავს წარმოადგენდა და იქ მყოფთა პირისახეზედ ნათლად იხატებოდა სიამოვნება. წარმოდგენამ ამ საღამოს შეძლება მისცა ამ ვებერთელა ქალაქში გაბნეულ ქართველობას თავი მოეყარა ერთად და შეედგინა ერთი საზოგადოება. სასურველია, რომ ამგვარი თავშეყრა, რაც შეიძლება ხშირი იყვეს. ამ საღამოს ინიციატორებად იყვნენ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ჩვენი ახალგაზრდობა. ამათ შორის ამ საღამოისათვის უდიდესი შრომა გასწია ბ-ნმა ყაზახიშვილმა, რომელიც სულის ჩამდგმელი იყო წარმოდგენისა.

ჯერ წარმოადგინეს ვ. გუნიას ვოდევილი „არც იქით, არც აქეთ". სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ვოდევილი ვერ იყო შესაფერისად წარმოდგენილი. სამაგიეროდ, შემდეგ წარმოდგენილმა აზიანის კომედიამ „გაცრუებულმა იმედებმა" მშვენიერის ანსამბლითა და სიცოცხლით ჩაიარა. არ მოველოდი, თუ ასე კარგათ შეასრულებდნენ პიესას; გეგონებოდათ კომედიას გამოცდილი არტისტები ასრულებენო. ქ-ნი მირზაშვილისა, იოსელიანისა, აბდუშელიშვილისა, კრინიცკისა, ბ-ნნი ყაზახაშვილი, იოსელიანი, კვრიშვილი, ჩერქეზიშვილი, ვაჩნაძე, ვახვახიშვილი—ყველანი საუცხოონი იყვნენ; ნამდვილი ესტეტიური სიამოვნება მიანიჭეს თავშეყრილ საზოგადოებას. მადლობა ეთქმის ბ. ნ ყაზახიშვილს წარმოდგენის ასე კარგად მოწყობისათვის.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. ამის ნახვა და მოსმენა მეტის-მეტად სასიამოვნო და სასიხარულო იყო. დივერტისმენტში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა, რომელთაც თავიანთის კარგის ხმით ბევრი ასიამოვნეს საზოგადოება. ამათი დანახვა და მოსმენა მეტად სანუგეშო და იმედ-მომცემი რამ იყო. ამათ რომ გხედავდით, ვრწმუნდებოდით, რომ ქართულ მუსიკას შეეძინება ახალი მომუშავენი და მათის ნამოღვაწევით უფრო წინ წაიწევს და განვითარდება მშობლიური მუსიკა.

ქ-ნი სარაჯიშვილისა დამთავრებული მომღერალია და მშვენიერის ხმის პატრონი. საზოგადოება აღარ უშვებდა ახალგაზრდა ქალს და ამეორებინებდა სიმღერებს.

დიდის აღტაცებით მიეგება საზოგადოება ქ-ნთ სარაჯიშვილისა, დოლიძისა და გედევანიშვილის სიმღერებს. სამივენი ახალგაზრდები არიან, სამივეს მშვენიერი ხმები აქვთ და, იმედია, თავიანთ ნიჭს შეაწყობენ ხელს და დაამშვენებენ მშობლიურ მუსიკას. ამას გარდა, ბ-ნმა ყაზახიშვილმა წაიკითხა სცენები და ბევრი აცინა საზოგადოება მოხდენილის კითხვით.

დივერტისმენტის შემდეგ გაიმართა ლეკური და ევროპიული ცეკვა-თამაში, რამაც გასტანა დილის ხუთ საათამდის; საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

ვიმეორებ, მეტის მადლობის ღირსნი არიან საღამოს გამმართველნი. ვიმედოვნებთ, რომ მათდა შეძლების დაგვარად კიდევაც არა ერთხელ ისინი შეუყრიან თავს აქაურ ქართველობას.

დ. კ.

დაბა-სოფლები

სოფ. ქსოვრისი (ქართლი). ჩვენ სოფელში არც სკოლა მოიპოვება, არც სამკითხველო და არც სხვა ამგვარი რამ. კარგია კიდევ, რომ მადლიანი კაცები და ქალები გაჩნდნენ, რომელთაც ამ ორის წლის წინად განიზრახეს შეძლებისა დაგვარად გონებრივი საზრდო მიეწოდებინათ სოფლელთათვის. ამ აზრით მუქთად ასწავლიან წერა-კითხვას ქალ-ვაჟთ, დიდთ და პატარებს. თვითონ ვიყავი მოწამე ერთის ცოლ-შვილიანის გლეხის სიხარულისა, როცა იმან პირველად შეიძლო დაეწერა თავისი სახელი. გარდა წერა-კითხვისა ასწავლიან ბავშვებს საეკლესიო გალობას. წიგნთ-საცავ-სამკითხველო თუმცა არც ეხლა აქვს ჩვენს სოფელს, მაგრამ ამავე პირთა მეცადინეობით დაკვეთილია ქართულ-რუსული გაზეთები და ვინც წერა-კითხვა იცის, შეძლება აქვს ისარგებლოს.

ქსოვრელი.

სასამართლო

მაზრის უფროსის თანაშემწის შეურაცხება სამსახურის ასრულების დროს

გუშინ, 18 თებერვალს, სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე თავ. გიორგი ოთარის ძის ამილახვრისა, რომელსაც ჰბრალდებოდა გორის მაზრის უფროსის თანაშემწის ნაბობეკოვის სამსახურის ასრულების დროს შეურაცხება. შარშან, 3 ივნისს თავ. ამილახვარი ნაცნობ და ნათესავ ქალებსა და ყმაწვილებთან ერთად დასეირნობდა თურმე ხაშურის რკინის გზის სადგურზე. ამ დროს იმასთან მისულა მაზრის უფროსის თანაშემწე ნაბობეკოვი და მოუთხოვია რაღაც გადასახადების მაზრის უფროსისათვის წარდგენა. ამილახვარს ასე უადგილოდ ადგას პოლიციელის მოთხოვნილება არ მოსწონებია და ამიტომ არა სასიამოვნო პასუხი მიუცია. ამაზე შელაპარაკებულან. ნაბობეკოვს უთქვამს, იარაღს აგხსნით და სხვ. ამგვარი. გულმოსულ თავ. ამილახვარს ამაზე უპასუხნია კიდევ უფრო მკვახედ და ბოლოს, ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებით, ეს სიტყვებიც უთქვამს: „я вамъ, полицейскимъ мерзавцамъ морду побью"-ო. თავ. ამილახვარი პასუხის-გებაში მიუციათ. ამას წინად ეს საქმე გაარჩია გორში ოლქის სასამართლოს სესიამ, რომელმაც თავ. ამილახვარი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ერთის თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

სამოსამართლო პალატაში, სადაც საქმე თავ. ამილახვარმა გადაიტანა, გამოჰკითხეს სამს მოწმეს, რომლის შემდეგაც ბრალდებულმა კარგა ხანს ილაპარაკა. დიდხანს ილაპარაკა აგრეთვე თავ. ამილახვრის დამცველმა ბ-ნმა გოტფარხტმა. სხვათა შორის, დამცველმა სთქვა, რომ თავ. ამილახვარს არა სცოდნია თუ ნაბობეკოვი პოლიციელი იყო და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ იმან გარეშე კაცს, რომელიც უადგილოადგილას რაღაც უცნაურის მოთხოვნილებით მიადგა, არ მოუთმინა და პასუხი გასცა. ნ. ბობეკოვი სადღაც ყოფილა სადილზე, შეზარხოშებულიც იყო თურმე; ესეც არ იყოს, ნაბობეკოვი, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, თვით უნდა ყოფილიყო თავდაჭერილი. ამის ნაცვლად იმან სადგურზე მიჰმართა გადასახადისთვის და უთხრა, იარაღს აგყრითო.

პალატამ დამნაშავედ იცნო თავ. გ. ამილახვარი, გააუქმა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება და 1 თვის ნაცვლად 2 კვირით საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 თებერვალი.

პეტერბურგი. 16 თებერვალს მათ უდიდებულესობათა თანდასწრებით ერმიტაჟში სადილი იყო; სადილის შემდეგ პავილიონის დარბაზში ცეკვა გაიმართა.

სოსნოვიცი. მუშა ბოციანოვსკის, რომელმაც ინჟენერის სტრატილატოს მოკვლა განიზრახა, სასამართლომ ხუთის წლით სადისციპლინო ბატალიონში ყოფნა და უფლებათა შეზღუდვა მიუსაჯა.

კონსტანტინეპოლი. ჩერნოგორიის ელჩი დაბრუნდა და სულთანმა მიიღო. როგორც ამბობენ, სულთანმა სიამოვნება გამოუცხადა იმის გამო, რომ ჩერნოგორია მშვიდობიანობის გზაზე დგას და მეგობრულს განწყობილებაშია ოსმალეთთან და დაავალა ელჩს, მადლობა გადაეცით ჩერნოგორიის მთავარს ნიკოლოზსაო.

ოტომანის ბანკს დაევალა შეადგინოს წესები იმ მოქმედებისა, რომელიც ამ ბანკმა უნდა შეასრულოს მაკედონიის სამს ვილაეტში. ეს წესები რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებს უნდა წარედგინოთ დასამტკიცებლად.

ელჩებმა უნდა შეიმუშაონ კონსულებისათვის წესები, რომელიც უნდა აასრულონ რეფორმების შემოღების დროს. კონსულები იუწყებიან: რადგან სულთანმა მიიღო რეფორმების პროექტი, შეუდექით კიდეც პატიებასსაო.

ლინდაუ. მოვიდა პრინცესა ლუიზა და დედამ მიიღო. პრინცესა ერცჰერცოგის ფერდინანდის სასახლეში ჩამოხტა; თან ახლავს ადვოკატი პეტერი.

მადრიდი. ცეუტიდან იტყობინებიან, რომ იმ ადგილებში, სადაც მავრნი სცხოვრობენ, სრული ანარხიაა; ქაბილები გადასახადებს აღარ იხდიან და არბევენ იმ ხალხებს, რომელთაც სულთანის ერთგულება გამოაცხადეს.

18 თებერვალი.

პეტერბურგი. დაანიშნეს: საქსენ-ვეიმარის დიდ ჰერცოგთანა და საქსენ-ალტენბურგის ჰერცოგთან მყოფი მინისტრ-პრეზიდენტი ბარონი ბუდბერგი—საკანცლერო ელჩად ვირტემბერგის მეფესთან; გროდნოს გუბერნატორის თანაშემწის აღმასრულებელი კამერჰერი სტალიგინი—სარატოვის გუბერნატორად, ხოლო სტ. სოვ. ოსორგინი—გროდნოს გუბერნატორის თანაშემწის აღმასრულებლად.

შეუდგნენ ბეჭდვას ადგილებისას ფინანსთა მინისტრის უქვეშევრდომილესის მოხსენებიდან, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობას შეეხება.

ვაშინგტონი. ცნობა მოვიდა, რომ ბრაზილიამ მოსთხოვა ბოლივიას დაუთმოს ადგილი აკრაში ზომით 34,440 ოთხ-კუთხი მილი, ამასთან ემუქრება, იარაღით დაიჭერ ამ ადგილებსაო. ამ გვარი მოთხოვნილება წინად უკვე შეასრულა ბოლივიამ.

მადრიდი. ბელილიადან იუწყებიან, რომ ტახტის მაძიებელს, რომელიც თავის მცირე მომხრეებთან ერთად გამაგრდა, ჯარს შემოარტყუნენ.

სოფია. ბოლგარიის ყველა სესხის კონვერსია საერთო კრებას წარედგინება უთუოდ შემოდგომის სესიის დროს.

მთელი ბოლგარია ემზადება დიდის ამბით იდღესასწაულოს 19 თებერვალი, როდესაც 25 წელიწადი სრულდება. რაც იგი რუსეთის მეფისა და ხალხის ნებით განთავისუფლდა.

პიტსბურგი. დასავლეთ პენსილვანიაში წყალდიდობაა: 56 ქარხანამ მუშაობა შეაჩერა; 38,000 მუშა უსაქმოდ არის.

ჟიტომირი. გუბერნატორის ინიციატორობით შემუშავებულ იქმნა მოხსენება ჟიტომირის შეერთების შესახებ ფართო ლიანდაგიან რკინის გზებთან.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჯაბადარი

[illegible]

პეტერბურგის ბირჟა 14 თებერვალს

ვექსილის კურსი 10 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,27$^1/_2$	
პარიზზე „	37,72$^1/_2$	
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	98$^1/_4$	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100$^1/_4$	მყიდ.
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	100	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95	„
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	454	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	306$^1/_2$	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
4$^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 28 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა
წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს"
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. იგ. ნათაძეს. (ე. 0—1)

საჭიროა ორი იმერელი
მებაღე
ტფილ. დესეტინა მამულის დასამუშავებლად. მოხვნა, თესლი, იარაღი და სახლი ჩემია. იკითხეთ „მოგზაურის" რედაქციაში, მეჟდვაია ქუჩაზე, № 72. (3—2)

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლდე-ქვაბულში
იყიდება დამყნილი ვაზები, აგრეთვე რქები. ეს დამყნილი ვაზები სხვა-და-სხვა ჯიშისაა; არის ბორდოსა, ბურგუნდიისა, შამპანიისა, რეინისა, აგრეთვე რუპესტრისი 22$^1/_2$ სვერშოკი ათასი 24 მანეთამდე და სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზები. იყიდება აგრეთვე სხვა-და სხვა დასამყნობი ვაზები და რქები (550 ჯიშისა). პრეის-კურანტიის მიღება მსურველს უფასოდ შეუძლიან.
ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: ი. ძიძიბო ქუთაისში. (4—3)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის
კიოსკში
იყიდება 1903 წლის
კალენდრები
1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.
შეიძლება ფოსტადადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორისმელიქოვის ქუჩა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 18 Февраля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат Т—)ва